მოსკოვის “დინამოსთან” – 2 ქულა

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 21 აპრილი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:3 (0:2).

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი (ლოსევი), ნიკულინი, ბუბნოვი, ზიკოვი, პეტრუშინი, დოლმატოვი, მახოვიკოვი, შეპელი (გერშკოვიჩი), პავლენკო, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გავაშელი (ესებუა), გუცაევი, რეხვიაშვილი (ყიფიანი).

მსაჯი: ე. აზიმზადე (ბაქო).

დუბლიორები – 4:2.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ურთულესი სატურნირო მდგომარეობა, რომელშიც თბილისის დინამოელები იყვნენ მოხვედრილი 21 აპრილისთვის. პირველ ორ ტურში შინ მათ 3 ქულა დაკარგეს, სტუმრად კი ზედიზედ სამი მძიმე მატჩი ჰქონდათ ჩასატარებელი მოსკოვსა და ერევანში. ისე თამაშით, როგორც თბილისში თამაშობდა გუნდი, წარმატების იმედი ნაკლებად გვქონდა….

მაგრამ აი, პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე და პირველი გამარჯვება! გამარჯვება ძველისძველ, ყველაზე მრისხანე, ყველაზე ძნელ მოწინააღმდეგესთან – მოსკოვის “დინამოსთან”, გუნდთან, რომელთანაც ყველაზე უარესი ბალანსი გვაქვს საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ გამარჯვებიდან? უპირველესად ის, რომ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც გვეგონა. თუ გუნდი მაქსიმალურადაა მობილიზებული, თუ მისი თითოეული წევრი განწყობილია გამარჯვებისთვის და გამსჭვალულია კოლექტივიზმის გრძნობით, მას შესწევს ძალა იბრძოლოს იმ დონეზე, რომელიც აკმაყოფილებს გულშემატკივრებს.

მატჩის მეორე ნახევარი ტრანსლირებული იყო ტელევიზიით, ვნახეთ, აგრეთვე, პირველ ტაიმში გატანილი გოლები. თქმა იმისა, რომ თბილისელები ერთი თავით სჯობდნენ მეტოქეს მაშინაც კი, როცა ანგარიში იყო 3:0 მათს სასარგებლოდ, არ იქნებოდა სწორი. ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ და სახიფათო მომენტებსაც საკმარისად ქმნიდნენ, მაგრამ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჰქონია თბილისის “დინამოს” ამაზე გაცილებით მეტი უპირატესობა კალენდარულ მატჩებში და ხელცარიელი წასულა მინდვრიდან? გაიხსენეთ, თუნდაც, მისი ამასწინანდელი შეხვედრა “ზენიტთან”. თანამედროვე ფეხბურთში გამარჯვება საერთო უპირატესობას იმდენად არ მოაქვს, რამდენადაც ჭკვიანურად დაგეგმილ თამაშს, სწორად ორგანიზებულ იერიშებს და სწრაფ კონტრშეტევებს, შექმნილ ხელსაყრელ ვითარებათა მაქსიმალურ გამოყენებას.

ამ მატჩში კი თბილისელებმა სწორედ ასე ითამაშეს. საკმარისი იყო ზიკოვს და პილგუის შეცდომა დაეშვათ მე–4 წუთზე, რომ გუცაევმა გოლით დასაჯა ისინი. 33–ე წუთზე იმავე გუცაევმა სწრაფი გარღვევა შეასრულა მარცხენა ფლანგიდან, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და კვლავ ისარგებლა პილგუის შეცდომით – შორ კუთხეში გაუგორა ბურთი – 2:0.

69–ე წუთზე საუცხოოდ ითამაშა მ. მაჩაიძემ, გაიმარჯვა პირისპირ ბრძოლაში ნიკულინთან და ბუბნოვთან, რის შემდეგაც ზუსტად დაარტყა კარში – 3:0.

სამი ბურთით უპირატესობა, როცა მატჩის დამთავრებამდე სულ 20 წუთია დარჩენილი, ფეხბურთში უეჭველ გამარჯვებას ნიშნავს. თუ ასე არ მოხდა, ეს სენსაციად ითვლება, რომელიც შემდეგ თავიანთს დავთრებში შეაქვთ სტატისტიკოსებს, მოსკოველებმა კი კინაღამ მოახდინეს ეს სასწაული. ისინი უტევდნენ განუწყვეტლივ, მთელი ძალებით, სტუმრები დროდადრო ბურთის უსისტემო მოგერიებას თუ ასწრებდნენ და 72–ე წუთზე დოლმატოვმა შეძლო ახლოდან თავით გაეტანა პირველი საპასუხო გოლი.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. თბილისელთა დაცვა და ნახევარდაცვა გაჭირვებით ართმევდნენ თავს სიძნელეებს, ხშირად ერთვოდა თამაშში გოგია, სახიფათო მომენტებს თვლა არ ჰქონდა. ბოლოს, 89–ე წუთზე, გერშკოვიჩმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და გოგიას ნახტომი ამაო გამოდგა.

ამ უძნელეს მატჩს და თბილისის "დინამოს" ესოდენ საჭირო გამარჯვებას ჩვენ არ ვხატავთ ნათელი ფერებით. ბრძოლა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ყველაფერი კარგია, რაც კარგად, მთავრდება. ამ მოგებით ჩვენმა გუნდმა საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა და, რაც მთავარია, დაგვარწმუნა, რომ მას შეუძლია გააუმჯობესოს თამაში, არ დათმოს პოზიციები.

რ. ქორიძე.
"ლელო", 23 აპრილი, 1975 წ.